



Creative Europe



პრეს რელიზი

გამოქვეყნება აკრძალულია 2019 წლის 29 თებერვლის 22:00 საათამდე

მემკვიდრეობის სფეროში ევროპის უმაღლესი ჯილდოს გამარჯვებულთა დაჯილდოების ცერემონია პარიზში

2019 წლის 29 თებერვალი, პარიზი-ევროპული მემკვიდრეობის ჯილდო 2019/ ევროპა ნოსტრას ჯილდოს, მემკვიდრეობის სფეროს ევროპის უმაღლესი აღიარების, გამარჯვებულები ღირს გამოვლინდნენ ევროპული მემკვიდრეობის საღამომზე, რომელიც ახლად რესტავრირებულ პარიზის შატლეს თეატრში გაიმართა. ღონისძიებაზე პლასიდო დომინგომ, ევროპული მემკვიდრეობის წამყვანი ქსელის, ევროპა ნოსტრას პრეზიდენტმა და **გიბორ ნაფრანჩიმა**, ევროკომისარმა განათლების, კულტურის, ახალგაზრდობის და სპორტის საკითხებში, დაასახელეს **გრან პრის შვიდი ლაურეატი**. გრან პრის მფლობელები ექსპერტებისა და ევროპა ნოსტრას საბჭოს წევრებისგან დაკომლექტებულმა ჟიურიმ 25 გამარჯვებულს შორის შეარჩია, თითოეულ მათგანს გადაეცემა ფულადი პრიზი €10,000 ოდენობით.

„**სამოგადობის რჩეულის**“ ჯილდოს მფლობელი დაასახელა ავგორმა, ტელეწამყვანმა და ჯილდოს ყოფილმა ლაურეატმა **სტეფან ბერნმა**. გამარჯვებული გამოვლინდა ევროპა ნოსტრას მიერ ჩატარებული ღია ონლაინ გამოკითხვის გზით, რომლის საშუალებითაც 8,500-მა ადამიანმა დაუჭირა მხარი რჩეულ მიღწევას.

ევროპული მემკვიდრეობის საღამო 2019 წლის 27-30 თებერვლს, პარიზში მიმდინარე ევროპული კულტურული მემკვიდრეობის კონგრესის ყველაზე გამორჩეული და დიდი ღონისძიებაა.

გრან პრის შვიდი ლაურეატი:

კატეგორია - კონსერვაცია

- [წმინდა ბავოს საკათედრო ტაძარი, ჰაარლემი, ჰოლანდია](#)
- [დელოფალ ლუიმ ედიგის კომპლექსი, მაბიჟე, პოლონეთი](#)
- [პარტალის სასახლის სამლოცველო, ალჰამბრა, გრენადა, ესპანეთი](#)

კატეგორია - კვლევა

- [რომარტივი- რომის ციფრული არქივი, გერმანია](#)

კატეგორია - განსაკუთრებულიღვაწლი

- [Fortidsminneforeningen – ნორვეგიის ერთგული ფონდი, ნორვეგია](#)

კატეგორია - განათლება, სწავლებადაცნობიერებისამაღლება

- [ისტორიის რაღარი 1938, ვენა, ავსტრია](#)
- [კულტურული მემკვიდრეობის სტუარდები, გერმანია](#)

„სახალხო რჩეულის“ ჯილდო მიენიჭა:

- [ციხე-სიფელი მუცო, საქართველო](#)

დაჯილდოების ცერემონიაზე ევროპული მემკვიდრეობის ჯილდო/ევროპა ნოსტრას ჯილდომე წარდგენილი იყო 25 გამარჯვებული ევროპის „შემოქმედებითი ევროპის“ პროგრამაში მონაწილე 16 ქვეყნიდან. ევროპა ნოსტრას ჯილდო ასევე გადაეცა მემკვიდრეობის სფეროში ღირსესანიშნავ მიღწევებს ორი ევროპული ქვეყნიდან, რომლებიც არ არიან „შემოქმედებითი ევროპის“ პროგრამის ნაწილი, კერძოდ შვეიცარიიდან და თურქეთიდან.

ევროპული მემკვიდრეობის ჯილდო/ევროპა ნოსტრას ჯილდო ასევე გადაეცა, ნოტრ დამის „მცველ ანგელოზებს“ – პარიზის მეხანძრეთა ბრიგადას, 2019 წლის 15 აპრილის ღამის ხანძართან ბრძოლაში მათი მამაცობის და

თავდაღების აღსანიშნავად. კათედრალის ისტორიის და სულისკვეთების პატივსაცემად დაჯილდოების ცერემონიას თან ახლდა **პარიზის ნოტრდამის მოზარდთა გუნდის პერფორმანსი**. იხილეთ დამატებითი პრეს რელიზი [აქ](#).

„დიდი სიამოვნებაა შეხვდეთ ჯილდოს მფლობელებს და იმეიშო გამარჯვება შესანიშნავად რესტავრირებული შატლეს თეატრის სცენაზე, პარიზის გულში. მემკვიდრეობის თითოეული გმირის ღირსშესანიშნავი შრომა და დაუღალავი თავდადება სამაგალითო და შთაბამებელია ყოველი ჩვენგანისთვის, ვინც აფასებს და ბრუნავს კულტურულ მემკვიდრეობაზე. როგორც გასული წლების ლაურეატების მაგალითმა გვიჩვენა, ეს ჯილდო წინ გადადგმული ეფექტური ნაბიჯია მათი მცდელობების გაგრძელებისა და მომავალი წარმატებისთვის, რომელიც მათ მიღწევებს უფრო შესაძლებელს ხდის და შთაბამებს მემკვიდრეობის ქომაგებს მთელი კონტინენტის მასშტაბით. ჩვენ, ევროპა ნოსტრა, მთელი გულით მოვუწოდებთ მათ მაქსიმალურად გამოიყენონ აღნიშნული ჯილდო და ვიდრე ჩვენს მუდმივად მზარდ მემკვიდრეობის პან-ევროპულ ქსელში.“ - აღნიშნა **პლასიდო დომინგომ**, ევროპა ნოსტრას პრეზიდენტმა.

„ევროპული მემკვიდრეობის ჯილდოს/ ევროპა ნოსტრას ჯილდოს 2019 წლის ყველა გამარჯვებულს ვულოცავ წარმატებას და დამსახურებულ აღიარებას. უნიკალურია თითოეული გამარჯვებული, ევროპის ყველა კუთხიდან წარმოდგენილი ინოვაციური კვლევები და ოსტაგური რესტავრაციები, უმაღლესი ხარისხის გრენინგები და საგანმანათლებლო საქმიანობა თუ განსაკუთრებული ღვაწლი კულტურული მემკვიდრეობის სფეროში. ყველა მათგანს ერთი რამ აქვს საერთო: ისინი ქმნიან ევროპის მემკვიდრეობის განსაკუთრებულად წარმატებულ ისტორიებს. მაღლობას ვუხდით თითოეულ გამარჯვებულს, მათი ფასდაუდებელი წვლილისთვის და პასუხისმგებლობისთვის ევროპის საზიარო მემკვიდრეობის დაცვის, გაძლიერებისთვის და დღევანდელი და მომავალი თაობებისთვის შენარჩუნებისთვის. თავიანთი საქმიანობით, ისინი გვეხმარებიან ვუმზუნველყოთ კულტურული მემკვიდრეობის წელიწადი 2018-ის განგრძობადი გავლენა.“ - აღნიშნა **ტიბორ ნაფრაჩიჩმა**, ევროკომისარმა განათლების, კულტურის, ახალგაზრდობის და სპორტის საკითხებში.

ცერემონიას დაესწრო 1000-ზე მეტი ადამიანი, უმაღლესი რანგის ოფიციალური პირები ევროპული ინსტიტუციებიდან და წევრი ქვეყნებიდან, ასევე კულტურული მემკვიდრეობის წამყვანი ორგანიზაციების წარმომადგენლები, კულტურული მემკვიდრეობის მხარდამჭერი და განსაკუთრებული ღვაწლის მქონე პროფესიონალები მთელი ევროპიდან. გრან პრის და სახალხო რჩეულის ჯილდოს გამარჯვებულთა გამოცხადებას თან ახლდა ანსამბლ **მუსიკაეტერნას (MusicAeterna)** და სოპრანო **სანდრინე პიაუ** კონცერტი, რომელსაც ხელმძღვანელობდა ბერძნულ-რუსული წარმომბობის მსოფლიოში ცნობილი დირიჟორი **თეოდორ კურენცი**.

[ევროპული კულტურული მემკვიდრეობის სამიტს](#) უმანისპინძლა ევროპა ნოსტრამ საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ემანუელ მაკრონის უმაღლესი პაგრონაჟით. ღონისძიების მხარდამჭერები არიან: ევროკომისია, მემკვიდრეობის ფონდი, ბერნის მისია და სხვა ფრანგი და ევროპული პარტნიორები, ასოციაციები და კერძო სპონსორები.

[თარგმანები](#)

[ღონისძიების ფოტოები](#)

[ღონისძიების ვიდეოები](#)

ხელმისაწვდომი იქნება მალე

ხელმისაწვდომი იქნება მალე

საკონტაქტო ინფორმაცია

ევროპა ნოსტრა
ოდრი ჰოგან / Audrey Hogan,
ah@europanostra.org
ტ/Т. +31 70 302 40 52; М. +31 63 1 17 84 55

ევროკომისია
ნატალი ვანდისტადტი / Nathalie Vandystadt
nathalie.vandystadt@ec.europa.eu, +32 2 2967083

ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი
ევროპა ნოსტრას წარმომადგენლობა საქართველოში
მაკადვალიშვილი / Maka Dvalishvili
maka@gaccgeorgia.org
Т. +995 32 935 685

შეიტყვეთ მეტი

გამარჯვებული პროექტების შესახებ:
[ინფორმაცია და ჟიურის კომენტარები](#), [ფოტოები](#) და [ვიდეოები](#) (მაღალ ხარისხში)

[შემოქმედებითი ევროპის ვებ გვერდი](#)

[კომისარი ნაფრაჩიჩის ვებგვერდი](#)

www.gaccgeorgia.org

გრან პრის შვიდი ლაურეატი (ანბანის მიხედვით)

კატეგორია- კონსერვაცია

წმინდა ბავოს საკათედრო გაძარი, ჰარლემი, ჰოლანდია

წმინდა ბავოს საკათედრო გაძარი ჰარლემში დაპროექტებულია ჰოლანდიელი არქიტექტორის ჯომეუ საიპერის მიერ და იკურთხა 1898 წელს. გასული საუკუნის განმავლობაში არასაკმარისი მოვლა-პატრონობის გამო, კათედრალი მნიშვნელოვანი სტრუქტურული და საკონსერვაციო გამოწვევების პირისპირ აღმოჩნდა.

პროექტის ფარგლებში კათედრალს დაუბრუნდა წარსული დიდებულება, ინტერიერი განახლდა ხელოვნების ახალი ნიმუშებით და ჰარლემში შეიქმნა ახალი სოციალ-კულტურული ცენტრი. სამუშაოები განხორციელდა სხვადასხვა ცენტრალური, რეგიონალური და ადგილობრივი მთავრობების დაფინანსებით, ეპარქიისა და სხვადასხვა საქველმოქმედო ფონდების და კერძო პირების შემოწონებებით. ჟიურიმ დააფასა საკონსერვაციო ჯგუფის ჰოლისტიკური მიდგომა და აღნიშნა შემდეგი: „საკონსერვაციო ჩარევისას განხორციელდა რიგი დამატებითი, სიმბოლური ელემენტის სწორი ინტეგრირება“

დელოფალ ლუი ედიგის კომპლექსი, ზაბჟე, პოლონეთი

დელოფალ ლუი ედიგის მადარობის კომპლექსის აღორძინება, განახორციელა ზაბჟეს ქვანახშირის მოპოვების მუშეუმა რომელიც, ადგილობრივ და რეგიონალურ სახელმწიფო ორგანოებთან მჭიდრო თანამშრომლობით, ფლობს და განკარგავს კომპლექსს. პროექტის მთავარი გამოწვევა და მიზანი იყო განხორციელებულიყო კომპლექსის აღსაპყარა და რევიტალიზაცია ისე, რომ შენარჩუნებულიყო მისი კულტურული ღირებულებები და ადაპტირებულიყო საგანმანათლებლო და ტურისტული მიზნებისთვის. პროექტი 15 წელს გაგრძელდა და დაფინანსდა ევროკავშირის, ზაბჟეს მუნიციპალიტეტის, სილეზიის რეგიონის და ზაბჟეს ქვანახშირის მოპოვების მუშეუმის მხარდაჭერით. ჟიურიმ აღნიშნა რომ: „ასეთი სახის ქვანახშირის მოპოვებელი მადარობები დღითიდღე მცირდება, ხოლო ქვანახშირის ასეთი მადარობის შემონახვა მომავალი თაობისთვის მნიშვნელოვანია არა მხოლოდპ ოლონეთის არამედ მთელი ევროპის მასშტაბით.“

პარტალის სასახლის სამლოცველო, ალაამბრა, გრენადა, ესპანეთი

პარტალის სასახლის სამლოცველო ცხადპყოფს ალაამბრას ისლამურ ფესვებს, ქალაქ გრანადაში არსებული ეს სასახლე შემკულია მდიდრული ისლამურ-არაბული თაბაშირის ორნამენტებით, ასევე ურთულესი ხასიათის ხის ჩარჩოებით და ჭერის ჩუქურთმებით. სარესტავრაციო სამუშაოები განხორციელდა მსოფლიო მონუმენტების ფონდის და Robert W. Wilson Challenge-ის ალაამბრას საბჭოსა და Generalife-ის საზოგადოებრივი ინსტიტუტის დაფინანსებითა და მხარდაჭერით. “ამ ადგილზე წარმოდგენილია ევროპული, კულტურათაშორისი ისტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი. მისი აღდგენა, მემკვიდრეობაში საზოგადოებრივი და კერძო პარტნიორობის შესანიშნავი მაგალითია. იგი ეყარება საფუძვლიან ინტერდისციპლინარულ სამეცნიერო კვლევას, რომლის საშუალებითაც გამოვლინდა დამატებითი ღებალები ნასრიდის მშენებლობასა და სადურგლო საქმის ტექნოლოგიაზე”, - აღნიშნა ჟიურიმ.

კატეგორია - კვლევა

რომარქივი- რომას ციფრული არქივი, გერმანია

რომარქივი არის საერთაშორისო ციფრული არქივი, რომელიც მოცავს ბოშების ხელოვნებას- ხელოვნების ყველა დარგის მზარდი კოლექცია შევსებულია ისტორიული დოკუმენტებით და სამეცნიერო ტექსტებით. არქივი ბოშებს აძლევს შესაძლებლობას გადაიზარონ მათი საზოგადოების გარშემო არსებული ნარატივი. რომარქივის შემნა დაფინანსდა გერმანიის ფედერაციული კულტურის ფონდის მიერ. “ამ კვლევის საგანი არსებითია ევროპული ხალხის ისტორიისთვის” აღნიშნა ჟიურიმ, “ბოშების თორმეტ მილიონიანი მოსახლეობა წარმოდგენს უდიდეს უგულვებლყოფილ უმცირესობას ევროპაში“. ეს არქივი უნიკალურია რამდენადაც ყურადღებას ამახვილებს ბოშების იდენტობის თვითპრეზენტაციაზე, გამოხატავს მემკვიდრეობის როგორც ხელშესახებ, ისე ხელშეუხებელ ასპექტებს და ემიჯნება ბოშების საზოგადოების სტერეოტიპულ ხედვას.

კატეგორია - განსაკუთრებული ღვაწლი

Fortidsminneforeningen – ნორვეგიის ეროვნული ფონდი, ნორვეგია

Fortidsminneforeningen- ნორვეგიის ეროვნული ფონდი, დაფუძნდა 1844 წელს და შეასრულა ცენტრალური როლი ქვეყნის მასშტაბით მემკვიდრეობის მენეჯმენტის შექმნისა და ნორვეგიის ისტორიული ძეგლების დაცვის საქმეში. ორგანიზაცია ეყრდნობა განგრძობად და ერთგულ მოხალისეობრივ ქსელს რომელიც 7000-ზე მეტ წევრს ითვლის. ჟიურიმ აღიარა Fortidsminneforeningen-ის „175 წლიანი საქმიანობა კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და ცნობიერების ამაღლების სფეროში“. Fortidsminneforeningen ამჟამად ფლობს და მრუნავს, 40-ზე მეტ უძრავი ქონების ერთეულს ქვეყნის მასშტაბით, ეწევა ფართო სამეცნიერო მხარდაჭერას და უძღვება კულტურული მემკვიდრეობის ნორვეგიულ მმართველობას: Riksantikvaren.

კატეგორია - განათლება, სწავლება და ცნობიერების ამაღლება

ისტორიის რაღარი 1938, ვენა, ავსტრია

პროექტი შეიქმნა კინორეკონსტრუქციების, ისტორიკოსების და პროგრამისტების მიერ ისტორიის გადმოსაცემად, რომელსაც ავსტრიის ანექსია ეწოდება, მოვლენიდან 80 წლის შემდეგ. 2018 წლის 11 მარტს, ამჟამინდელმა კანცლერმა ვენის ბალჰუსპლაცში წარადგინა ფილმი, რომელიც ასახავდა ანექსიის ისტორიას. ეს იყო ძალაუფლებისთვის ბრძოლის სცენა ადგილობრივ ნაცისტებს (რომლებიც ბრძანებებს ბერლინიდან იღებდნენ) და ავსტრიის პრეზიდენტს შორის ანექსიის პერიოდში. ათასობით მომხმარებელმა მიიღო ინფორმაცია ინტერნეტის, რადიოს, ტელევიზიისა და მობილური ტელეფონების გამოყენებით, ასევე შეიქმნა საფოსტო ბარათები, ლექციები და გამოცემები. „ეს ინოვაციური მიღწევა შესაძლებლობას გვაძლევს უფრო ღრულად გავიანბროთ ინდივიდუალური პასუხისმგებლობა დემოკრატიის და საზოგადოების საერთო ღირებულებების დაცვის საქმეში, – აღნიშნა ქუერიმ

კულტურული მემკვიდრეობის სტუდენტები, გერმანია

პროექტი კულტურული მემკვიდრეობის სტუდენტები, წარმოადგენს არქეოლოგიური მემკვიდრეობის ქსელის “Stunde Null” პროექტის ნაწილს, რომელიც განხორციელდა ფედერაციის საგარეო ოფისის და გერმანული ჰენკელის ფონდის მხარდაჭერით. პროექტის მიზანია იყო სირიული კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და აღდგენა თურქეთში მცხოვრები სირიიდან იძულებით გადაადგილებული კულტურული მემკვიდრეობის პროფესიონალების უნარების განვითარების გზით. “ეს გახლავთ საერთაშორისო, თანამშრომლობითი ბრწყინვალე გრენინგ ინიციატივა, რომელიც მოიცავს მრავალ სტეკპოლდერს და მიმართულია პან-ევროპულ სინამდვილეში ამჟამად არსებული მნიშვნელოვანი პრობლემისადმი” – განაცხადა ქუერიმ

ციხე-სოფელი მუცო, საქართველო

სოფელი მუცო შესანიშნავი გამაგრებული დასახლებაა; საუკუნეთა განმავლობაში ის წარმოადგენდა ჩრდილოეთ საქართველოს უძლიერეს ავანპოსტს, აკონტროლებდა გზებს და იცავდა სახელმწიფო საზღვარს. ჰარმონიულად გამოყენებული მასალის წყალობით ლანდშაფტთან საოცრად შერწყმული სოფელი დასახლებული იყო მე-10 საუკუნიდან. მე-20 საუკუნის შუახანებისთვის მკაცრი კლიმატური პირობების, სახნავი მიწის სიმწირის, არასაკმარისი ინფრასტრუქტურისა და აწყობის ნაკლებობის გამო სოფელი დაცარიელდა. თანდათანობითი დეგრადაცია და მოუვლელობა ამ უნიკალურ სოფელს განადგურებას უქადდა. 2014 წელს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ მთავრობის მხარდაჭერით და სხვა სახელმწიფო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით ამ დასახლების რეაბილიტაციის პროექტი დასახა. პროექტს მხარი დაუჭირა კერძო ფონდებმა, კერძოდ საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდმა ქართუმ.

სოფელი განფენილია კლდოვანი მთის სამ, ნახევრად-ხელოვნურ ტერასებზე. შემორჩენილია 2-4 სართულიანი რამოდენიმე ციხე-სახლი, კოშკები, თავდაცვითი კედლები, რამდენიმე სალოცავი და სამარხი. პროექტის განხორციელებაში ადგილობრივი მოსახლეობის ჩასართავად მათთან ჩატარდა კონსულტაციები - დაწყებული დაგეგმვის და მოსამზადებელი ეტაპიდან დამთავრებული ტექნიკური და მოვლა-შენარჩუნების სამუშაოებით. ფიქალის მშრალი წყობის გრადიციული ტექნიკა, რომლის ცოდნაც ადგილობრივთა შორის თითქმის სრულადაა დაკარგული, ადგილობრივ მოსახლეობას ქისგმა ოსტაგმა გადასცა მემობელი რეგიონიდან. შესაძლებლობების ამგვარად გაძლიერების შედეგად, უმრუნველყოფილ იქნა ობიექტის სამომავლო შენარჩუნება, ხოლო ადგილობრივ თემს საკუთარ მემკვიდრეობაზე მოვლა-პატრონობის შესაძლებლობა მიეცა.

ობიექტის სიშორე და რელიეფის სირთულე წარმოიწინა აუცილებელი ინტენსიური მოსამზადებელი სამუშაოებით; მათ შორის რელსების და ბაგირის დამონტაჟება მასალების მთამდე გრანსპორტირებისთვის და მცირე ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა სოფლის მახლობლად არსებულ მდინარეზე, ობიექტისთვის ელექტროენერჯის მისაწოდებლად.

გაუმჯობესდა ობიექტის სტრუქტურული სტაბილურობა, რამაც შექმნა საცხოვრისების ხელახლა გამოყენების შესაძლებლობა. ახლა, როდესაც შენობები აღაპგირებულია თანამედროვე მოთხოვნებთან და მოგვარებულია ძირითადი ინფრასტრუქტურული პრობლემები (ელექტროენერჯის მიწოდება, კომუნიკაციების მოწესრიგება), ოჯახებმა დაბრუნება დაიწყეს. ეროვნულმა სააგენტომ მუცოში შექმნა მუზეუმ-ნაკრძალი, რომელიც ტერიტორიის სყოველდღიურ მართვას განახორციელებს. პროექტმა შექმნა მნიშვნელოვანი პრეცედენტი საქართველოს მთიანი, ისტორიული დასახლებების შემდგომი აღორძინებისთვის.

ქუერიმ აღნიშნა, რომ „ეს პროექტი ეხმარება მთის თემების დემოკრატიის პრობლემას - გამოწვევას, რომლის წინაშეც მთელი ევროპა ღვას. მემკვიდრეობის ამ რესტავრაციამ განაპირობა ადგილობრივი თემის ცნობიერების ამაღლება მათი არამატერიალური მემკვიდრეობის და კავკასიელი ხალხის ისტორიის შესახებ, რამაც, თავის მხრივ, წახალისა მემკვიდრეობასთან მათი ურთიერთობის აღდგენა. პრიორიტეტად იქნა მიჩნეული გრადიციული ხელოსნობის გაგრძელება, რაც უმრუნველყოფის მის სამომავლო შენარჩუნებას. მისასაღებელია რეაბილიტაციის გზაზე მრავალი გამოწვევის, მათ შორის რთული რელიეფისა და ინფრასტრუქტურის სიმწირის დაძლევა.”

More information: Tamar Meliva | tamarmeliva@heritagesites.ge | heritagesites.ge

წინაპირობა

ევროკავშირის კულტურული მემკვიდრეობის პრიზი / ევროპა ნოსტრას ჯილდო დაარსდა 2002 წელს ევროკომისიის მიერ და მას შემდეგ მას განახორციელებს ევროპა ნოსტრა. პროგრამა წარმოაჩენს მემკვიდრეობის კონსერვაციის, კვლევის, მენეჯმენტის, განათლების და კომუნიკაციის სფეროს საუკეთესო მაგალითებს და ამით ხელს უწყობს კულტურული მემკვიდრეობის, როგორც ევროპის ეკონომიკის და საზოგადოების სტრატეგიული რესურსის როლის აღიარებას. პრიზის მხარდაჭერა ევროკავშირის შემოქმედებითი ევროპის პროგრამაა.

უკანასკნელი 16 წლის განმავლობაში კონკურსში წარდგენილი იქნა **2883 განაცხადი 39 ქვეყნიდან**. 2002 წლიდან, დამოუკიდებელმა ჟიურიმ, 34 ქვეყნიდან 485 გამარჯვებული პროექტი გამოავლინა. გამარჯვებულთა შორის ლიდერობს ესპანეთი (64 ჯილდო), ლიდი ბრიტანეთი (60 ჯილდო) და იტალია (41 ჯილდო). გამარჯვებულთაგან **102 პროექტს გადაეცა გრანტი** - 10000 ევროს ფულადი პრემია.

ევროკავშირის კულტურული მემკვიდრეობის პრიზი / ევროპა ნოსტრას ჯილდო საუკეთესო პრაქტიკების წარმოჩენის, გამოცდილების გაზიარების და საერთაშორისო კავშირების დამყარების გზით აძლიერებს კულტურული მემკვიდრეობის სექტორს ევროპაში. იგი ასევე ეხმარება გამარჯვებულებს დაფინანსების მოპოვებასა და ვიზიტორთა რაოდენობის ზრდაში. პრიზი ასევე ხელს უწყობს ჩვენი საერთო მემკვიდრეობის პოპულარიზაციას ფართო საზოგადოებაში.

ევროპა ნოსტრა წარმოადგენს საზოგადოებრივი ორგანიზაციების პანევროპულ ფედერაციას, რომელსაც მხარს უჭერენ როგორც კერძო კომპანიები, ასევე საჯარო დაწესებულებები და ინდივიდები. ორგანიზაცია აერთიანებს ევროპის 40 ქვეყანას და მიზნად ისახავს ევროპის კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვას. ევროპა ნოსტრა დაარსდა 1963 წელს და დღეისთვის იგი ყველაზე წარმომადგენლობითი ევროპული ქსელია. ორგანიზაციის პრეზიდენტია მსოფლიოში ცნობილი ოპერის მომღერალი და დირიჟორი პლასიდო დომინგო.

ევროპა ნოსტრა პროგრამის „საფრანგის ქვეშე მყოფი 7 ძეგლი“ ფარგლებში ახორციელებს ევროპაში განადგურების პირას მყოფი ძეგლების და ლანდშაფტების გადარჩენის კამპანიას. იგი წარმოაჩენს სფეროს მიღწევებს ევროკავშირის კულტურული მემკვიდრეობის პრიზის / ევროპა ნოსტრას ჯილდოს მეშვეობით. ორგანიზაცია მჭიდროდ თანამშრომლობს ევროპულ ინსტიტუტებთან და ევროპული მემკვიდრეობის ალიანსთან 3.3, რითაც თავისი წვლილი შეაქვს მემკვიდრეობის სფეროში ევროპული სტრატეგიებისა და პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში. ევროპა ნოსტრა აქტიურ მხარდაჭერასა და კონგრებუციას ახორციელებს ევროპის კულტურული მემკვიდრეობის 2018 წლის აღსანიშნავად.

შემოქმედებითი ევროპა წარმოადგენს ევროკავშირის ახალ პროგრამას, რომელიც მიმართულია კულტურის და შემოქმედებითი სექტორების გაძლიერებისკენ. პროგრამის 2014-2020 წლების ბიუჯეტს €1.46 მილიარდი შეადგენს. შემოქმედებითი ევროპა მხარს უჭერს ორგანიზაციებს რომლებიც მოღვაწეობენ კულტურული მემკვიდრეობის, საშემსრულებლო ხელოვნების, სახვითი ხელოვნების, ინტერდისციპლინარული ხელოვნების, საგამომცემლო, კინონდუსტრიის, გლევიზიის, მუსიკის და ვიდეოთამაშების სფეროებში, ასევე ათობითათას მხატვარს, კულტურის და აუდიოვიზუალური ხელოვნების პროფესიონალს. დაფინანსება მათ შესაძლებლობას აძლევთ განაგრძონ თავიანთი მოღვაწეობა მთელი ევროპის მასშტაბით, მოიზიდონ ახალი აუდიენცია და განავითარონ თავიანთი უნარები.